

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების სოციოლოგიური შესწავლა

(2005 წლის აპრილ-მაისში ჩატარებული რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების ანალიზი)

თავი 1: მეთოდოლოგია სოციოლოგიური გამოკვლევისათვის

სოციოლოგიური გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა.

კვლევის მეთოდი: სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა *გამოკითხვის მეთოდით*, კერძოდ, *პირისპირ (face to face) ინტერვიუს* ფორმის გამოყენებით.

კვლევის საგანი: სოციოლოგიური კვლევა ითვალისწინებდა *საქართველოს მოსახლეობის* დამოკიდებულების შესწავლას არასამთავრობო სექტორის მიმართ საქართველოში.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულების (ატიტუდების) შესწავლა განხორციელდა *შემდეგი მაჩვენებლების* (ინდიკატორების) მიხედვით:

1. მოქალაქეთა *ინფორმირებულობა* არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ;
2. მოქალაქეთა დარწმუნებულობა იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები *დადებით როლს* ასრულებს საქართველოში მიმდინარე პროცესებში;
3. მოქალაქეთა დარწმუნებულობის ხარისხი იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებას *სასარგებლო მომსახურებას* აწვდის;
4. მოქალაქეთა *სურვილი*, *ითანამშრომლონ* არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
5. მოქალაქეთა *რეალური მონაწილეობის ხარისხი* არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში.

თითოეული მაჩვენებლის მნიშვნელობები შეფასდა სინთეზურად (კომპლექსურად), განსაზღვრული ცვლადების გაერთიანების საფუძველზე. ამასთან, განხორციელდა თითოეული მნიშვნელობის ფორმალური/კვანტიფიკაცია, რიცხობრივ მაჩვენებლებში მათი გამოხატვის საფუძველზე. საბოლოო ჯამში, დაითვალა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მოსახლეობის დამოკიდებულების *სინთეზური ინდიკატორის მნიშვნელობა*, ცალკეული მაჩვენებლისათვის “წონის” მინიჭებისა და მათი რიცხობრივი მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის საფუძველზე (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი).

კვლევის ობიექტი: სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს 18 წლის და ზემოთ მოსახლეობაში.

შერჩევა: რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა როგორც *კვოტური*, ისე *შემთხვევითი* შერჩევის პრინციპების დაცვით. კერძოდ, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გათვალისწინებით და შერჩევის რეპრეზენტატიულობის უზრუნველსაყოფად, გენერალურ ერთობლიობაში მოცემული პროპორციების შესაბამისად წინასწარ განისაზღვრა რესპონდენტთა კვოტები სქესის, ასაკობრივი ჯგუფების და რეგიონის ზომის მიხედვით. რაც შეეხება ოჯახებში რესპონდენტთა ამორჩევის წესს, აღნიშნული კვოტების ფარგლებში, შემთხვევითობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, გამოყენებულ იქნა უახლოესი დაბადების დღის პრინციპი. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრთა შორის ამ პრინციპით შერჩეული პიროვნება კვოტას არ შეესაბამებოდა, ინტერვიუერი გადადიოდა შემდეგ ოჯახზე და ასე მოძრაობდა მანამ, ვიდრე სასურველ რესპონდენტს არ იპოვიდა. ოჯახებს შორის ინტერვალი (ბიჯი) განსხვავებულად განისაზღვრა თბილისისათვის (ყოველი მე-9 ოჯახი), დანარჩენი ურბანული ცენტრებისათვის (ყოველი მე-7 ოჯახი) და სოფლებისათვის (ყოველი მე-5 ოჯახი). იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით, შეუძლებელი იყო ოჯახთან და რესპონდენტთან კავშირის დამყარება, ინტერვიუერს ეკრძალებოდა უახლოეს ოჯახთან დაკავშირება და გადაადგილებოდა ბიჯის დაცვით. ეს უზრუნველყოფდა რესპონდენტების გათანაბრებას და საკვლევი ურბანული ცენტრების მაქსიმალურ მოცვას. დამატებით რესპონდენტებს მიეწოდათ შერჩევის გეოგრაფიული წერტილები და გადაადგილების სივრცითი არეალი (ქუჩების და უბნების მიხედვით), რამაც გამორიცხა ერთსა და იმავე წერტილში განმეორებითი ვიზიტების შესაძლებლობა.

გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა საქართველოს ცხრავე რეგიონის 18 წლის და ზევით მოსახლეობა. კვოტები (სქესის და ასაკის მიხედვით) განისაზღვრა თითოეული რეგიონში მოცემული პროპორციების შესაბამისად. *შერჩევითი ერთობლიობის* მოცულობაა **1200 რესპონდენტი**, რომლებიც რეგიონების მიხედვით განაწილდა სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ შერჩევით ერთობლიობას წარმოადგენენ მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებმაც **განაცხადეს, რომ ფლობენ განსაზღვრულ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ**. შესაბამისად, ყველა მონაცემი დათვლილია საქართველოს მოსახლეობის ამ კატეგორიის (ინფორმირებული) რესპონდენტათვის. რაც შეეხება შერჩევაში არმოსხვედრილ იმ ადამიანებს, რომლებსაც არაფერი სმენიათ შესაძენ სექტორის შესახებ, გამოკვლევის შედეგად დადგინდა მათი ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში, ასევე, ამ კატეგორიის (არაინფორმირებული) რესპონდენტთა დემოგრაფიული სურათი (საცხოვრებელი ადგილი, სქესი, ასაკი და სხვ.)¹.

¹ ამის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია აღწერილი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის ბლოკში (იხ. თავი 2)

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობისთვის ქვეყნის მასშტაბით შეფასებების ცლობილებები დაახლოებით 3-4%-ია 95%-იანი საიმედოობით. სხვადასხვა პარამეტრით გამოყოფილ ქვეჯგუფებში შეფასებების ცლობილებები უფრო მაღალია.

საბოლოო ჯამში, შერჩევის მოდელი ასე გამოიყურება² (იხ. ცხრილი №1):

ცხრილი №1

№	რეგიონი	ქალაქი	სოფელი	სულ
		რესპონდენტთა რაოდენობა		
1.	თბილისი	302	0	302
2.	კახეთი	22	105	127
3.	შიდა ქართლი	34	50	84
4.	ქვემო ქართლი	54	81	135
5.	სამცხე-ჯავახეთი	17	38	55
6.	აჭარა	47	52	99
7.	გურია	10	29	39
8.	სამეგრელო	52	77	129
9.	იმერეთი	100	101	201
10.	მცხეთა-მთიანეთი	7	22	29
სულ:		645	555	1200

სხვასახვა დემოგრაფიული პარამეტრის მიხედვით რესპონდენტები ასე განაწილდნენ:

სქესი (%)	ასაკი (%)	ეროვნება (%)	განათლება (%)	ოჯახური მდგომარეობა (%)
1. მამრობითი — 45.0 2. მდელობითი — 55.0	1. 18-24 -- 13.2 2. 25-34 -- 18.8 3. 35-44 -- 20.1 4. 45-54 -- 13.9 5. 55-64 -- 16.3 6. 65 და მეტი+ - 17.8	1. ქართველი -- 87.6 2. არაქართველი - - 12.4	1. არაუმაღლესი -- 57.5 2. უმაღლესი - 42.7	დაუოჯახებელი - 21.9 ქორწინებაში მყოფი - 67.9 განქორწინებული - 1.5 ქვრივი - 8.2 მარტოხელა მშობელი - 0.5

დასაქმების სფეროების მიხედვით (იხ. ცხრილი №2):

ცხრილი №2

№	სფეროები	საკუთარი ბიზნესი (%)	სახელმწიფო სექტორი (%)	კერძო სექტორი (%)
1.	მრეწველობა/მშენებლობა	0.4	1.2	1.4
2.	მომსახურების სფერო	0.8	1.6	1.7
3.	ვაჭრობა	3.5	-	2.3
4.	გრანსპორტი	0.2	0.7	1.2
5.	სკოლა/უმაღლესი სასწავლებელი//ბაღი	-	6.8	0.2
6.	ჯანდაცვის ობიექტი//ამბულატორია//საავადმყოფო	-	1.8	0.7
7.	პოლიცია//ჯარი//სასამართლო//პროკურატურა	-	1.3	0.1
8.	მერია//გამგეობა//საკრებულო	-	1.2	-
9.	საოჯახო მეურნეობა	10.2	-	4.4
10.	სტუდენტი		6.3	
11.	ღიასახლისი³		18.4	

² აღნიშნული სქემა დამუშავებულია ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში არსებული უახლესი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, გამოყენებულია 1999 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების სტატისტიკური მასალები.

³ **ღიასახლისის** კატეგორიაში შევიდნენ ის რესპონდენტები, რომლებიც დაკავებულნი არიან მხოლოდ სახლის (ბინის) საქმეებით და არ მუშაობენ თუნდაც საოჯახო მეურნეობაში. ამასთან, საკუთარი თავის იდენტიფიკაციას არ ახდენენ უმუშევართან.

12.	პენსიონერი/ინვალიდი	16.4
13.	სხვა (მეცნიერება, კულტურა, მასმედია, , არასამთავრობო ორგანიზაციები)	2.3
14.	უმუშევარი ⁴	14.3

თვიური შემოსავლის მიხედვით (ოჯახის ყველა წევრის შემოსავლების გათვალისწინებით):

1. 50 ლარზე ნაკლები – 17.8%
2. 51-200 ლარი – 46.4%
3. 200 ლარზე მეტი – 26.3%
4. მიჭირს პასუხის გაცემა – 9.4%

საველე სამუშაოებში, მთლიანობაში, მონაწილეობა მიიღო 50-მდე ინტერვიუერმა, რომელთაც აქვეთ სოციოლოგიურ კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება. მათ ჩაუტარდათ სპეციალური ინსტრუქტაჟი კითხვარის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მონაცემების ანალიზი: პირველადი სოციოლოგიური მასალა დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ანალიზისას გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდები, როგორცაა მონაცემების დაჯგუფება და ტიპოლოგიზაცია, კორელაციური ანალიზი, კლასტერული ანალიზი და სხვ. განხორციელებული ანალიზი, ძირითადად, აღწერითი ხასიათისაა.

⁴ უმუშევრის კატეგორიაში შევიდნენ ის რესპონდენტები, რომლებიც არ მუშაობდნენ, სულ მცირე, გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში.

თაზი 2: ზოგადი შეფასებები

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება შეიძლება შეფასდეს ქვეყანაში არსებული ინსტიტუციების მიმართ დამოკიდებულებების ცვლილების ფონზე – 2003 წელს ჩატარებული ანალოგიური კვლევის შედეგებთან შედარებით. კერძოდ, მკვეთრად შეცვლილი რესპონდენტთა დამოკიდებულება ქვეყნის განვითარების ძირითადი კურსის შეფასებისას. კითხვაზე: – **“როგორ ფიქრობთ, მოვლენები ჩვენს ქვეყანაში, ძირითადად, სწორი თუ არასწორი მიმართულებით ვითარდება?”** — რესპონდენტთა პასუხები (ორი წლის წინანდელთან შედარებით) დადებითი შეფასებისკენ იხრება, თუმცა, მაინც შესაძლებელია ვილაპარაკოთ თითქმის თანაბრად გაყოფილ საზოგადოებრივ აზრზე ქვეყნის კურსის შეფასებისას. ამასთანავე, რესპონდენტთა უმრავლესობა უფრო ფრთხილ შეფასებებს არჩევს (**“უფრო სწორი, ვიდრე არასწორი მიმართულებით”**). როგორც ჩანს, რადიკალური ოპტიმიზმის გაღლა საკმაოდ დასუსტდა. მკვეთრად შემცირდა, აგრეთვე, პრემიუმულ შევარდნადის მმართველობის ბოლო წლებისთვის დამახასიათებელი რადიკალური ნეგატივისტური განწყობები (**იხ. ცხრილი №3**):

ცხრილი №3

		2003 წ. (%)	2005 წ. (%)
1.	სწორი მიმართულებით	2.2	12.7
2.	უფრო სწორი, ვიდრე არასწორი მიმართულებით	9.7	35.6
3.	უფრო არასწორი, ვიდრე სწორი მიმართულებით	21.8	21.7
4.	არასწორი მიმართულებით	63.3	19.0
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	3.2	10.9

საზოგადოებრივი აზრის “ამბივალენტურობა” უფრო მეტი სისრულით ვლინდება სახელისუფლებო სტრუქტურების შეფასებისას. საქართველოში არსებული არასახელისუფლებო ინსტიტუტების მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულება უფრო დადებითია. **მკვეთრად შეიცვალა არასამთავრობო სექტორის საქმიანობის შეფასება: თუ ორი წლის წინ ჩატარებული გამოკითხვა დადებითად და უარყოფითად განწყობილთა თითქმის თანაბარ რაოდენობას აფიქსირებდა, ამჟამად, მესამე სექტორის მიმართ დადებითად განწყობილთა რაოდენობა ორჯერ სჭარბობს უარყოფითად განწყობილთა რაოდენობას.** საინტერესოა, რომ გაიზარდა იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც გაურკვეველ პოზიციას აფიქსირებენ კერძო ბიზნესში და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში მიმდინარე პროცესების მიმართ. როგორც ჩანს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ნაკლებად აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი აქტორები საქართველოში მიმდინარე პროცესებში. კერძო ბიზნესში მიმდინარე პროცესებზე ნაკლებად გამჭვირვალეა და ბიზნესის “ხმა” ნაკლებად ესმის მოსახლეობას (**იხ. ცხრილი №4**):

ცხრილი №4

	ინსტიტუტები	დადებითად (%)		უარყოფითად (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
		2003 წ.	2005 წ.	2003 წ.	2005 წ.	2003 წ.	2005 წ.
1.	საქართველოს პარლამენტი	9.6	46.4	89.1	46.4	1.4	6.9
2.	მასშეღია	69.3	73.7	28.1	19.3	2.6	7.0
3.	არასამთავრობო სექტორი	45.9	57.2	41.3	27.8	12.8	15
4.	საქართველოს მთავრობა	9.0	46.1	89.8	48.1	1.3	5.8
5.	კერძო ბიზნესი	54.8	51.7	37.3	30.6	7.8	17.6
6.	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი)	44.8	40.4	32.6	23.3	22.7	36.3
7.	საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია	85.4	84.4	9.6	5.1	5.1	10.4

* * *

ისევე როგორც ორი წლის წინ, მოსახლეობის შერჩევით ერთობლიობაში არასამთავრობო სექტორის მიმართ ზოგადი დამოკიდებულების ანალიზმა **სოციალურ-დემოგრაფიული პარამეტრების** მიხედვით (სქესი, ასაკი, შემოსავალი) მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავებები არ გამოავლინა. უმნიშვნელოდ განსხვავებული დამოკიდებულება გამოვლინდა განათლების ცენტრის მიხედვით ანალიზის დროს. კერძო, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა შორის არასამთავრობო სექტორის მიმართ დადებითად განწყობილთა ხვედრითი წილი უფრო მაღალია (*უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების - 62%; უმაღლესი განათლების არმქონე რესპონდენტების - 53.6%*).

როგორია რეგიონების მიხედვით არასამთავრობო სექტორის მიმართ დამოკიდებულება თუ 2003 წლის და 2005 წლის მონაცემებს შევადარებთ? საკმაოდ მკვეთრი ძვრები შეიმჩნევა არასამთავრობო სექტორის შეფასებისას აჭარის, და შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. დადებითი დამოკიდებულების მაჩვენებელი მესამე სექტორის მიმართ მკვეთრად გაიზარდა (*იხ. ცხრილი №5*):

ცხრილი №5


	დადებითი (%)		უფრო დადებითი (%)		უფრო უარყოფითი (%)		უარყოფითი (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
	2003 წ.	2005 წ.	2003 წ.	2005 წ.	2003 წ.	2005 წ.	2003 წ.	2005 წ.	2003 წ.	2005 წ.
თბილისი	17.2	18.0	29.1	33.7	14.2	17.7	28.8	17.7	10.6	13
კახეთი	9.4	5.5	35.4	43.3	18.9	24.4	15.0	1.6	21.3	25.2
შიდა ქართლი/ მცხეთა მთიანეთი	6.2	22.1	21.2	46.0	31.0	12.4	33.6	8.0	8.0	11.5
ქვემო ქართლი/ სამცხე-ჯავახეთი	11.5	11.1	29.8	37.6	26.2	18.0	22.0	10.1	10.5	23.3
გურია/სამეგრელო	17.9	5.4	43.5	56.5	14.9	17.3	10.7	13.1	13.1	7.7
იმერეთი	10.0	22.9	42.0	36.3	22.0	14.4	12.5	12.9	13.5	13.4
აჭარა	2.0	50.5	35.4	26.3	27.3	5.1	18.2	7.1	17.2	11.1

* * *

2005 წელს ჩატარებულმა კვლევამ გაიმეორა ორი წლის ჩატარებული კვლევის დროს გამოვლენილი კანონზომიერება: **მესამე სექტორის მიმართ ზოგად დამოკიდებულებაზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ის ფაქტი, უთანამშრომლია თუ არა რესპონდენტს არასამთავრობო ორგანიზაციებთან.** კერძოდ, ის რესპონდენტები, რომლებსაც უთანამშრომლიათ არასამთავრობო სექტორთან, უფრო დადებითად აფასებენ ამ სექტორის საქმიანობას (*იხ. დიაგრამა №1*):

დიაგრამა №1

არასამთავრობო ორბანიზაციების საქმიანობის შეფასება მათთან თანამშრომლობის
გამოცდილების გამოცდილების შესაბამისად



თავი 3: არასამთავრობო ორბანიზაციების შესახებ ინფორმირებულება

უნდა აღინიშნოს, რომ – ისევე როგორც ორი წლის ჩატარებული კვლევის დროს – რესპონდენტთა ინფორმირებულობის ხარისხი არასამთავრობო ორგანიზაციების რაობის შესახებ *მოსახლეობა-მესამე სექტორის* ღერძის ერთ-ერთი ყველაზე “სუსტი რგოლი” გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მთავარი დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ აშკარად დადებითისკენაა შეცვლილი, ამ ორგანიზაციების რაობისა და საქმიანობის თავისებურებების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (რამდენიმე პუნქტით გაუარესდა კიდეც).

მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხის დასადგენად გამოყენებულ იქნა როგორც რესპონდენტთა მიერ საკუთარი ინფორმირებულობის ხარისხის განსაზღვრა (თვითშეფასება), ასევე ტესტური შეკითხვები, ანუ შეფასების ობიექტური მეთოდი. ტესტური შეკითხვები, ძირითადად, გულისხმობდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის აღმწერი დებულებების შეთავაზებას რესპონდენტათვის. მათ უნდა განესაზღვრათ, რომელი საქმიანობა ან ნიშანია აღეკვამური არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და რომელი – არა. გარდა ამისა, რესპონდენტს უნდა მოეხდინა არასამთავრობო ორგანიზაციების იდენტიფიკაცია ორგანიზაციათა მიწოდებული ჩამონათვალიდან.

სუბიექტური თვითშეფასების თვალსაზრისით, რესპონდენტებმა შემდეგნაირად განსაზღვრეს საკუთარი ინფორმირებულობის დონე საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ (*იხ. ცხრილი №6*).

ცხრილი №6

		2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	მაქვს სრული ინფორმაცია	14	24

2.	მაქვს საკმარისი ინფორმაცია	17.4	20.9
3.	მაქვს მწირი ინფორმაცია	81.2	76.7

როგორც მონაცემები აჩვენებს, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა კვლავაც უკმაყოფილოა საკუთარი ინფორმირებულობის ხარისხით.

* * *

ცხრილში მოგანილი მონაცემები აჩვენებს არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ გარკვეული ინფორმაციის მქონე რესპონდენტთა შორის არსებულ განაწილებას. როგორც ადრე აღინიშნა, მოსახლეობის შერჩევითი ერთობლიობა (1200) სწორედ ამ კატეგორიის რესპონდენტებს მოიცავდა. ცხადია, ინტერვიუ ვერ შედგებოდა იმ ადამიანებთან, რომლებიც სართოდ არ ფლობენ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. ასეთი რესპონდენტები ამოვარდნენ შერჩევიდან. როგორია არაინფორმირებული (რესპონდენტთა სუბიექტური თვითშეფასებიდან გამომდინარე) რესპონდენტების ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში? გამოკითხვა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის (18 წლის და ზემოთ) საშუალოდ ყოველი მეხუთე წარმომადგენელი – 21.8% – აცხადებს, რომ არ ფლობს არანაირ ინფორმაციას მესამე სექტორის შესახებ⁵. არაინფორმირებული რესპონდენტების დემოგრაფიული სურათი ასეთია (იხ. ცხრილი №6):

ცხრილი №6

		სმენია (%)	არ სმენია (%)
რეგიონი			
1.	თბილისი	83.3	16.7
2.	კახეთი	80.4	19.6
3.	აჭარა	95.2	4.8
4.	იმერეთი	81.0	19.0
5.	ქვემო ქართლი/სამცხე-ჯავახეთი	57.6	42.4
6.	გურია/სამეგრელო	85.3	14.7
7.	შიდა ქართლი/მცხეთა-მთიანეთი	82.5	17.5
დასახლების ტიპი			
1.	ქალაქი	81.0	19.0
2.	სოფელი	75.0	25.0
სქესი			
1.	მდედრობითი	77.1	22.9
2.	მამრობითი	79.4	20.6
ასაკი			
1.	18-34	79.1	20.9
2.	35-54	77.5	22.5
3.	55 და მეტი	77.9	22.1
განათლება			
1.	საშუალო განათლების არმქონე	53.5	46.5
2.	საშუალო განათლება	66.9	33.1
3.	საშუალო-გეჩნიკური	88.4	11.6
ეროვნება			
1.	ქართველი	80.7	19.3

⁵ როგორ იქნა მიღებული ეს მონაცემები? გამოკითხვის პროცესში შერჩევის შესაბამისი ინსტრუქციით მოძებნილმა 335 რესპონდენტმა განაცხადა, რომ არაფერი სმენია არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. თუ ამ რაოდენობას დავუმატებთ შერჩევითი ერთობლიობის მოცულობას ინფორმირებული რესპონდენტებისათვის (1200), ჯამში მივიღებთ 1535 რესპონდენტს. არაინფორმირებულთა ხვედრითი წილი ამ რაოდენობის სწორედ 21.8%-ს შეადგენს.

2.	არაქართველი	63.8	36.2
დასაქმება			
1.	სახელმწიფო სექტორი	86.3	13.7
2.	კერძო სექტორი	77.9	22.1
3.	თვითდასაქმებული	70.8	29.2
4.	უმუშევარი	78.5	21.5

ქვემოთ მოცანილია ე.წ. **ტესტური შეკითხვების** შედეგები, რომლებიც ასევე ადასტურებს მესამე სექტორის რაობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის საკმაოდ დაბალ ხარისხს. ასეთი შეფასების გამოთქმა მართებულია იმის გათვალისწინებით, რომ ჩამოთვლილი დებულებები აღწერს არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითად მახასიათებლებს და არა მათი საქმიანობის სპეციფიკას რომელიმე სფეროში (*იხ. ცხრილი №7*):

ცხრილი №7

	დებულებები	სწორია (%)		არ არის სწორი (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
		2003წ	2005წ	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ
1.	არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება	36.1	41.2	40.3	34.1	23.7	24.7
2.	არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე	46.9	40.1	29.8	28	23.3	31.9
3.	არასამთავრობო ორგანიზაციები გათავისუფლებულია ყველა ტიპის გადასახადისგან	21.2	18.1	43.4	37	35.4	44.9
4.	არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება იყოს საბიუჯეტო სტრუქტურა	19.9	16.5	53.8	50.6	26.3	32.9
5.	არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება არსებობდეს ფონდის ან კავშირის სახით	63.8	62.4	6.9	7.9	29.1	29.7

2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ არასწორი წარმოდგენების არეალი ძირითადად მეორდება:

- შეცდომების ყველაზე დიდი წილი მოდის საპარლამენტო არჩევნებში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობის საკითხზე.
- რესპონდენტთა მხოლოდ ნახევარმა იცის, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია არ შეიძლება იყოს საბიუჯეტო სტრუქტურა.
- გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა არ იცის ან მცდარად პასუხობს შეკითხვას იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციას ორიენტირებული იყოს მოგებაზე
- ყველაზე მეტი დაბნეულობაა (“*მიჭირს პასუხის გაცემა*”) იმასთან დაკავშირებით, გათავისუფლებულია თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები ყველა ტიპის გადასახადისგან.
- შეცდომების ყველაზე ნაკლები წილი უკავშირდება არასამთავრობო ორგანიზაციების ფონდისა და კავშირის სახით არსებობის შესაძლებლობას.

შედარებით უკეთესი ვითარებაა, როდესაც საქმე ეხება კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციების იდენტიფიკაციას. რესპონდენტთა უმრავლესობა სწორად მიუთითებს ისეთი ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსზე, როგორებიცაა თავისუფლების ინსტიტუტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კონგროლის პალატა. თუმცა, შეცდომების ხვედრითი

წილი აქაც მაღალია. მაგ. ყოველი მეხუთე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სახალხო დამცველის ინსტიტუტი არასამთავრობო ორგანიზაციებია. მაღალია იმ რესპონდენტების ხვედრითი წილიც, რომლებიც ვერ აფიქსირებენ გარკვეულ პასუხს ამა თუ იმ ორგანიზაციის შესახებ ან საერთოდ არ სმენიათ ამ ორგანიზაციის შესახებ.

საბოლოო შედეგები მოცემულია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი №8):

ცხრილი №8

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია არასამთავრობო ორგანიზაცია?									
	ორგანიზაციები	არის (%)		არ არის (%)		არ გამიგია (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
		2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.
1.	ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	62.6	78.9	8.6	6.3	14.3	4.6	14.5	10.3
2.	ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო”	44.7	34.8	8.0	10.9	31.0	26.7	16.3	27.7
3.	საერთაშორისო სავალუტო ფონდი	28.6	20.9	42.6	42.4	6.6	7.9	22.3	28.8
4.	თავისუფლების ინსტიტუტი	85.0	72.8	4.9	9.6	3.3	4.7	6.8	12.9
5.	“რაოესი”	16.0	7.7	69.6	27.9	1.8	33.3	12.6	21.1
6.	სახალხო დამცველის ინსტიტუტი	13.9	24.3	63.7	47.5	5.8	7.0	16.7	21.1
7.	კონგრესის პალატა	6.5	5.9	83.2	76.3	1.5	4	8.8	13.8

ტესტური შეფასების შედეგად გამოიყო რესპონდენტთა სამი ჯგუფი, რომელთა ხვედრითი წილი გვიჩვენებს, რომ ინფორმირებულობის ხარისხის მიხედვით 2003 წელს ჩაგარებულ გამოკითხვის მიხედვით ოდნავ უკეთესი მდგომარეობა იყო (იხ. ცხრილი №9):

ცხრილი №9

	ჯგუფები	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	ინფორმირებულები	8.7	6.2
2.	მეგ-ნაკლებად ინფორმირებულები	25.4	15.7
3.	ცუდად ინფორმირებულები	65.9	78.1

შენიშვნა: ამგვარი ცვლილებების ახსნას მოცემული კვლევა არ ითვალისწინებს, თუმცა, შეიძლება გარკვეული ვარაუდების გამოთქმა:

- 2003-04 წლების რევოლუციურ ცვლილებებში პოლიტიკურ პარტიებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები (განსაკუთრებით, ფონდი “ღია საზოგადოება—საქართველო”). მეტიც: ახალი მთავრობის დაკომპლექტებასა და ფინანსურ უზრუნველყოფაში სოროსის ფონდმა არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა. ყველაფერმა ამან მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, შესაძლოა, შექმნა წარმოდგენა არასამთავრობო ორგანიზაციების სახელისუფლო სტრუქტურებად გრანსფორმაციის შესახებ;
- არასამთავრობო ორგანიზაციების ბევრი წარმომადგენლის პოლიტიკაში გადასვლამ, მოსალოდნელია, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დაბნეულობა გამოიწვიოს, რამაც


განაპირობა შეცდომების რაოდენობის ზრდა არასამთავრობო ორგანიზაციების საპარლამენტო არჩევნებში შესაძლო მონაწილეობის თაობაზე;

გ) ეი-ეს თელასის “რაოესად” გარდაქმნამ გამოიწვია ის, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა ამ ორგანიზაციის იდენტიფიკაცია და ა.შ.

* * *

ვინ არის უკეთესად ინფორმირებული რესპონდენტი სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით? როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტ განსახვავებას ამ თვალსაზრისით რესპონდენტის **განათლების ცენზი** იძლევა. კერძოდ, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა შორის ინფორმირებულთა და მეტ-ნაკლებად ინფორმირებულთა ხვედრითი წილი უფრო მაღალია (*იხ. დიაგრამა №2*):

დიაგრამა №2



გარდა ამისა, ინფორმირებულთა და მეტ-ნაკლებად ინფორმირებულთა ხვედრითი წილი ოდნავ უფრო მაღალია 55 წლამდე, დიდ ქალაქებში მაცხოვრებელ და ეროვნებით ქართველ რესპონდენტთა შორის.

როგორც მოსალოდნელი იყო, ცუდად ინფორმირებულ რესპონდენტთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა თბილისში დაფიქსირდა. როგორ მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით რეგიონებში? (*იხ. ცხრილი №10*):

ცხრილი №10

		ცუდად ინფორმირებულნი (%)	მეტ-ნაკლებად ინფორმირებულნი (%)	ინფორმირებულნი (%)
1.	თბილისი	68.7	21.7	9.7
2.	კახეთი	70.9	13.4	15.7
3.	აჭარა	84.8	12.1	3.0
4.	იმერეთი	92.0	7.5	0.5
5.	ქვემო ქართლი/სამცხე-ჯავახეთი	85.7	6.3	7.9
6.	გურია/სამეგრელო	75.0	22.6	2.4
7.	შიდა ქართლი/მცხეთა მთიანეთი	72.6	25.7	1.8

ინფორმაციის წყაროები

გამოკითხვა ითვალისწინებდა იმის განსაზღვრას, თუ რა წარმოადგენს რესპონდენტისთვის ინფორმაციის მიღების წყაროებს არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. 2005 წელს დაფიქსირებულმა სურათმა არსებითად გაიმეორა 2003 წლის მონაცემები: უაღგერნატივო წყაროდ კვლავ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რჩება. პრაქტიკულად არ გაზრდილა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემული მასალებისა და მათთან პირადი თანამშრომლობის გზით ინფორმაციის მიღების პრაქტიკა. განსხვავებულია მხოლოდ ერთი მონაცემი: 2005 წელს ჩაგარებულ კვლევაში უფრო მეტი რესპონდენტი მიუთითებს, რომ ინფორმაციას ნაცნობ-მეგობრებისგან იღებს. თუ ამ მონაცემს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის ცირკულაციის ხარისხი სამოგალოებაში გაიზარდა, თუმცა ეს ჯერ ვერ აისახა არასამთავრობო ორგანიზაციების არსებითი ნიშან-თვისებების შესახებ ინფორმირებულობის ზრდაზე. სრული მონაცემები ასეთია (*იხ. ცხრილი № 11*):

ცხრილი № 11

ძირითადად საიდან იღებთ ინფორმაციას არასამთავრობო სექტორის შესახებ?			
		2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	საინფორმაციო საშუალებები (პრესა, რადიო, ტელევიზია)	92.3	89.1
2.	ნაცნობ-მეგობრები	17.0	26.2
3.	არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემული მასალები	2.3	4.0
4.	პირადად ეთანამშრომლობ	2.9	2.2

შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე გაცემული პასუხების ჯამი 100%-ს აღარბებს, ვინაიდან რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხის ვარიანტი.

რომელ არასამთავრობო ორგანიზაციებს დასახელებენ რესპონდენტები?

რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ღია კითხვაში დაესახელებინათ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობასაც იცნობენ, ან რომელთა შესახებაც სმენიათ. საერთო ჯამში, რესპონდენტებმა დაასახელეს 100-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია. თუ 2003 წლის მონაცემებს შევადარებთ, 2005 წლის კვლევაში მეორდება პრიორიტეტები ისეთი ორგანიზაციების დასახელებასთან დაკავშირებით, როგორცაა *თავისუფლების ინსტიტუტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ფონდი “ღია სამოგალოება - საქართველო”, წითელი ჯვარი*. ამ ორგანიზაციებს განმეორებით კვლევაში დაემატა რამდენიმე ახალი ორგანიზაცია, რომლებმაც ჩაანაცვლეს მესამე სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის დასახელების სიხშირე წინა კვლევაში (*იხ. ცხრილი № 12*).

ცხრილი № 12

	არასამთავრობო ორგანიზაციები	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	თავისუფლების ინსტიტუტი	55.6	26.2
2.	ფონდი “ღია სამოგალოება - საქართველო”	15.2	6.5
3.	ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	18.8	24.0
4.	წითელი ჯვარი	16.8	8.4
5.	სამართლიანი არჩევნები	-	2.5
6.	კმარა	-	2.3

როგორც ცხრილში მოგანილი მონაცემები აჩვენებს, 2005 წლის შედეგებს გარკვეულწილად აცყვია რევოლუციური მოვლენების “კვალი”:

- თავისუფლების ინსტიტუტისა და სოროსის ფონდის დასახელების სიხშირემ, სულ მცირე, ორჯერ მოიკლო 2003 წელთან შედარებით. ეს, ალბათ, იმით აისხნება, რომ აღნიშნული

ორგანიზაციები მათი პოლიტიზაციისა და ხელისუფლების მიმართ ლოიალობის გამო, მოსახლეობის თვალში ნაკლებად აღიქმება როგორც არასამთავრობო, ალტერნატიული სტრუქტურები. ამ ორგანიზაციების ბოლოდროინდელ მცდელობებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობის დისგანცირებისა, როგორც ჩანს, სამოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვანი გავლენა ჯერჯერობით არ მოუხდენია.

- განსხვავებული პოზიცია დაფიქსირდა *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის* მიმართ – ამ ორგანიზაციის დასახელების სიხშირემ, წინა კვლევასთან შედარებით, არცთუ უმნიშვნელოდ მოიმატა. როგორც ჩანს, ამ ორგანიზაციას სამოგადოებრივ უფრო მეტად აღიქვამს როგორც მესამე სექტორს, ხელისუფლების მიმართ მათი ბოლო თვეების განმავლობაში მკვეთრად გამოხატული კრიტიკული დამოკიდებულების გამო.
- რაც შეეხება ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა *სამართლიანი არჩევნები* და *კმარა*, მათი მეტ-ნაკლები აქტიულობა კოლექტიურ ცნობიერებაში რეგულაციის პერიოდის შესაძური პოპულარობის ნარჩენად შეიძლება აღვიქვათ.

რაც შეეხება *ცალკეულ რეგიონებს*, გამოკითხვამ დაადასტურა ზემოაღნიშნული ტენდენცია: *თავისუფლების ინსტიტუტის* ცნობადობა იკლებს თვით თბილისში, სადაც მას ყველაზე მეტად იცნობენ (2003 წელს თბილისელთა 54% დასახელებს ამ ორგანიზაციას, 2005 წელს – 49.7%); პირიქით, მნიშვნელოვნად იზრდება *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის* ცნობადობა როგორც თბილისში, ისე სხვა რეგიონებში (2003 წელს ამ ორგანიზაციას გამოკითხული 10 რეგიონიდან მხოლოდ ოთხ რეგიონში დასახელებდნენ შედარებით საყურადღებო სიხშირით, 2005 წლის კვლევაში ასეთი რეგიონების რიცხვი შეიღია; ვარდა ამისა, თბილისში ამ ორგანიზაციის დასახელების სიხშირე ორჯერ გაიზარდა). საინტერესოა, რომ 2003 წელთან შედარებით, ასპარეზზე გამოჩნდა ახალი არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს უნდა მიეწეროს. ქვემოთ უფრო დეტალურადაა მოცემული განსამზღვრული არასამთავრობო ორგანიზაციების სიხშირული განაწილებები თითოეულ რეგიონში (*იხ. ცხრილი № 13*):

ცხრილი № 13

არასამთავრობო ორგანიზაციები	თბილისი (%)	კახეთი (%)	შიდა ქართლი (%)	ქვემო ქართლი (%)	სამცხე-ჯავახეთი (%)	აჭარა (%)	გურია (%)	სამეგრელო (%)	იმერეთი (%)	მცხეთა-მთიანეთი (%)
თავისუფლების ინსტიტუტი	49.7				5.5			6.2		
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	45.1	9.4	20.2	2.2		9.1	30.8		4.5	
ფონდი: "ღია სამოგალოება-საქართველო"	14.4									
"კმარა"	5.9					3.0				
წითელი ჯვარი	2.6					2.0		3.9	13.4	
პატიმართა უფლებების დაცვის ასოციაცია	2.0									
ინვალიდთა ლიგა	2.6									
სამართლიანი არჩევნები	2.0									
ჰორიმონტი		11.8			9.1					
"მერსი ქორი"		7.9			3.6					
ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაცია		3.1				4.0	2.6			
ბუნების დამცველები		3.9								
ბილიკი			4.8							
სათნოების სახლი "კათარმისი"				5.2					6.5	
ხიდი				12.7						
ვაშენოთ მომავალი				3.7						
თანასწორობის კავშირი				6.0						
ამერბაიჯანისა და საქართველოს კავშირი				3.0						
ენის სიწმინდისათვის				3.0						
უზუცესთა საბჭო				4.5						
GTZ				14.9						
თავისუფლება, თანასწორობა				3.7						
რაიონის ვეტერანთა საბჭო				3.0						
"სალიბდა"				3.0						
დემოკრატიკ მესხთ კავშირი					21.8					
"ქეა"					10.9	8.1		3.9		
World Vision					3.6					
ახალგაზრდული ინსტიტუტი					3.6					
ახალციხე ჩვენი საერთო სახლია					3.6					
ჯავახეთი					10.9					
"შარლ აზნავეური"					5.5					
სომხური დიასპორა					5.5					
ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია						7.1				
სათემო კავშირი						4.0				
სტუდენტური კავშირი						3.0				
ალგეთი							2.6			
მამული							2.6			
პედაგოგთა ასოციაცია							2.6			
დედათა კავშირი							2.6			
ახალგაზრდული განვითარების ასოციაცია							2.6			
"სიფი"								3.1		
ამქორი									4.0	

შენიშვნა: დანარჩენი დასახელებული ორგანიზაციების ხვედრითი წილი 2%-ზე ნაკლებია

**თავი IV: არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენისა და საქმიანობის შეფასება
სხვადასხვა სფეროში**

სოციოლოგიური კვლევა ითვალისწინებდა არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენისა და საქმიანობის შეფასებას სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამასთან, კითხვების ამ ბლოკს უნდა გადაემოწმებინა წინამდებარე ბლოკებში დაფიქსირებული განწყობები.

რაც შეეხება მოსახლეობის ამრს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე არასამთავრობო სექტორის გავლენის შესახებ, ორი წლის წინ ჩატარებულ გამოკითხვასთან შედარებით, მესამე სექტორის “წონამ” მოსახლეობის თვალში გავლენის თვალსაზრისით მოიმატა, თუმცა არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვან გავლენაზე რესპონდენტთა ისევ მცირე რაოდენობა მიუთითებს. რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი ისევ ზომიერ შეფასებებს ირჩევს (“მეგ-ნაკლებად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს”).

კითხვაზე: “რამდენად ახდენს გავლენას არასამთავრობო სექტორი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე?” – რესპონდენტთა პოზიციები ასე განაწილდა (იხ. ცხრილი № 14):

ცხრილი № 14

		2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს	5.8	10
2.	მეგ-ნაკლებად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს	24.9	32.8
3.	მცირე გავლენას ახდენს	42.2	30.6
4.	საერთოდ არ ახდენს გავლენას	18	11.4
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	9.1	15.2

მესამე სექტორის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების ცვლილება დადებითი შეფასებისკენ, შესაბამისად აისახა სხვადასხვა სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებაზეც. რადიკალურად (პოზიტიური თვალსაზრისით) შეიცვალა რესპონდენტთა დამოკიდებულება არასამთავრობოების საქმიანობის მიმართ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა, დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება, ხელისუფლების ქმედებების კონტროლი. დამოკიდებულების ასეთი მკვეთრი ცვლილება, სავარაუდოდ, “ვარდების რევოლუციის” ეფექტს უნდა მივაწეროთ.

თუმცა, კვლავ რჩება სფეროები, რომლებშიც მესამე სექტორის საქმიანობა არააღმაკმაყოფილებლად ფასდება. ეს სფეროებია: ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, ქალთა უფლებების დაცვა, საგანმანათლებლო საქმიანობა.

სრული შედეგები მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრილი № 15):

ცხრილი № 15

	სფეროები	საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება					
		დადებითად (%)		უარყოფითად (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
		2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.
1.	ბავშვთა უფლებების დაცვა	37.2	49.0	44.4	31.8	18.3	19.2
2.	ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა	45.7	48.4	34.0	21.5	21.4	30
3.	რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა	41.9	50.2	45.0	23.6	13.1	26.3

4.	ქალთა უფლებების დაცვა	31.5	33.5	49.6	40.9	18.9	25.6
5.	ეკოლოგიური პრობლემები	13.4	17.8	73.0	62.3	13.7	20
6.	არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა	25.7	57.4	59.9	25.2	14.3	17.4
7.	ხელისუფლების ქმედებების კონტროლი	18.0	39.8	65.3	38.1	16.4	21.1
8.	საქველმოქმედო/ჰუმანიტარული საქმიანობა	33.8	43.2	53.5	42.4	12.8	14.8
9.	საგანმანათლებლო საქმიანობა	32.5	32.6	49.1	38.4	18.5	29
10.	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	21.8	38.4	66.3	41.3	11.9	20.7
11.	დემოკრატიული, /სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება	30.4	40.1	46.6	23.9	23.0	36.1
12.	სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა	23.1	21.8	52.9	46.3	24.1	32

როგორც ცხრილში მოცანილი მონაცემები აჩვენებს, თითქმის ყველა სფეროში უარყოფითად შემფასებელთა წილი კლებულობს, მაგრამ რესპონდენტთა ეს რაოდენობა ხშირად ამავე დოზით და უპირობოდ არ ემატება დადებითად შემფასებლებს. ნეგატიურად განწყობის გრანსფორმირება, როგორც ჩანს, არცთუ იშვიათად, ნეიგრალურ პოზიციის (“*მიჭირს პასუხის გაცემა*”) მიმართულებით ხდება.

საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა სფეროში საქმიანობის შეფასების პოზიტიური ტენდენცია მეგ-ნაკლებად მეორდება რესპონდენტების მიერ თავის *ქალაქში, რაიონში* არსებული არასამთავრობოების შეფასებისას, თუმცა აქ დადებითი შეფასების წილი უფრო ნაკლებია. გაცილებით მაღალია გაურკვეველი პოზიციის მქონე რესპონდენტთა ხვედრითი წილი.

რეგიონების წარმომადგენელი რესპონდენტებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს ეკოლოგიური პრობლემების, სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობის, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული მოღვაწეობის, საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროებში. სრული სურათი მოცემულია ცხრილში (*იხ. ცხრილი №16*):

ცხრილი № 16

	სფეროები	თქვენს ქალაქში/რაიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება					
		დადებითად (%)		უარყოფითად (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
		2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.
1.	ბავშვთა უფლებების დაცვა	20.7	31.8	42.9	35.8	36.4	32.4
2.	ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა	22.3	33.0	32.1	19.4	45.6	47.6
3.	რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა	22.2	34.2	31.2	20.0	46.6	45.7
4.	ქალთა უფლებების დაცვა	19.2	23.7	43.4	40.3	37.4	36
5.	ეკოლოგიური პრობლემები	7.3	12.9	58.6	60.7	34.1	26.3
6.	არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა	15.5	46.9	47.7	27.8	36.8	25.8
7.	ხელისუფლების ქმედებების კონტროლი	4.2	23.1	57.1	41.3	38.6	35.6

8.	საქველმოქმედო/ჰუმანიტარული საქმიანობა	22.8	33.3	43.6	46.2	33.5	20.4
9.	საგანმანათლებლო საქმიანობა	16.4	20.0	42.3	46.6	41.3	33.4
10.	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	4.8	21.7	59.3	44.2	35.9	34.0
11.	დემოკრატიული/სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება	10.3	20.6	45.2	27.7	44.3	51.7
12.	სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა	10.3	14.0	48.8	47.6	40.9	38.5

რომელ სფეროშია აუცილებელი არასამთავრობო სექტორის გააქტიურება?

თუ შევადარებთ 2003 წელს და 2005 წელს ჩაგარებული კვლევების შედეგებს, აღმოჩნდება, რომ ის სფეროები, რომლებშიც რესპონდენტებს სასურველად მიაჩნიათ არასამთავრობო სექტორის გააქტიურება, ძირითადად, მეორდება. მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მესამე სექტორს რესპონდენტთა შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობა “მოუწოდებს”, ეს თემა კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულად რჩება. ბოლო კვლევაში გამოკითხულ რესპონდენტთა შედარებით უფრო მეტი რაოდენობა სვამს აქცენტს ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა კერძო ბიზნესისთვის ხელშეწყობა, საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება (იხ. ცხრილი № 17):

ცხრილი № 17

	სფეროები, რომლებშიც სასურველია მესამე სექტორის გააქტიურება	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	48.7	37.1
2.	ბავშვთა უფლებების დაცვა	34.1	32.3
3.	ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა	28.8	25.5
4.	საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება	22.4	31.2
5.	ხელისუფლების ქმედებების კონტროლი	21.6	25.4
6.	საგანმანათლებლო საქმიანობა	18.3	18.0
7.	კერძო ბიზნესისთვის ხელშეწყობა	17.8	22.8
8.	ქალთა უფლებების დაცვა	16.2	13.1
9.	არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა	15.7	9.4
10.	დემოკრატიული/სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება	8.9	8.1
11.	ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა	3.0	6.5
12.	რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვა	4.3	7.4

შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე გაცემული პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს, ვინაიდან რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხის ვარიანტი.

2003 წლის მონაცემებთან შედარებით, 2005 წლის მონაცემები რეგიონების მიხედვით საკმაოდ “დივერსიფიცირებულია”. 2003 წელს თითქმის ყველა რეგიონში მესამე სექტორისთვის პირველ პრიორიტეტად სახელდებოდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. 2005 წელს ჩაგარებულ კვლევაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას არასამთავრობო სექტორისთვის უპირველეს პრობლემად ასახელებენ კახეთის (25.1%), აჭარის (21.5%) და იმერეთის (18.5%) რეგიონების მაცხოვრებლები. საინტერესოა, რომ 2003 წელს ჩაგარებულ კვლევაში აჭარა იყო ის ერთადერთი რეგიონი, სადაც კორუფციასთან ბრძოლა პირველ პრიორიტეტად არ დასახელდა.

თბილისში კორუფციასთან ბრძოლა (16.5%) უმნიშვნელო უპირატესობით პირველ ადგილს უთმობს ბავშვთა უფლებების დაცვას (17.4%). ქვემო ქართლი/სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა პირველ პრიორიტეტად ასახელებს ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას (17.5%). გურია-

სამეგრელოში კი – საქველმოქმედო საქმიანობას (22.2%). შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოსახლეობა აქცენცს სვამს ბავშვთა უფლებების დაცვაზე (14.5%).

ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემები, რომლებზეც არასამთავრობო სექტორმა უნდა იმუშაოს შემდეგია:

ქალაქების მოსახლეობა		სოფლების მოსახლეობა	
• ბავშვთა უფლებების დაცვა	16.1 %	• საქველმოქმედო-/ჰუმანიტარული საქმიანობა	16.5%
• კორუფციასთან ბრძოლა	15.8 %	• კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	15.4%
• ეკოლოგიური პრობლემები	12.4%	• კერძო ბიზნესისთვის ხელშეწყობა	13.5%

პრობლემები, რომელთა გადაჭრა არასამთავრობო სექტორს შეუძლია

სფეროების წინასწარ შეთავაზებული ჩამონათვალის გარდა, რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ღია კითხვის პასუხებში, საკუთარი ინიციატივით დაესახელებინათ ქვეყნის წინაშე მდგარი ის პრობლემები, რომელთა მოგვარებაში არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება (იხ. ცხრილი № 18):

	პრობლემები, რომელთა მოგვარება მესამე სექტორს შეუძლია	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	ყველა სახის სოციალური პრობლემა	14.3	8.3
2.	უმუშევრობა, მოსახლეობის დასაქმება	12.4	19.4
3.	კორუფციასთან ბრძოლა	9.8	5.1
4.	ადამიანის უფლებების დაცვა	8.7	8.9
5.	ეკონომიკური პრობლემების მოგვარება	6.2	2.9
6.	ჰუმანიტარული დახმარება და მისი კონტროლი	5.2	3.9
7.	განათლების სისტემის რეფორმა	5.1	3.6
8.	ჯანდაცვის სისტემის რეფორმა	4.3	2.5
9.	ეკოლოგიური პრობლემები	1.9	3.3

შენიშვნა: დანარჩენი დასახელებული პრობლემების ხვედრითი წილი 2%-ზე ნაკლებია. პრობლემების ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ მოსახლეობა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან იმ პრობლემების მოგვარებისთვის ხელშეწყობას თვლის უფრო სასურველად, რომლებიც, მოგადად, ყველაზე აქტუალურად მიაჩნია. ბოლო წლებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების უმრავლესობა უმუშევრობას და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს აფიქსირებს, როგორც მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესს. სამოგადოება მესამე სექტორისაგან კვლავ ამ გიპის პრობლემებზე მუშაობას მოითხოვს და ნაკლებად აქცენტირდება იმ საქმიანობებზე, რომლებიც დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების რეალიზაციას ემსახურება.

არასამთავრობო ორგანიზაციები და ხელისუფლება

ხელისუფლებას, სამოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მოდელები სხვადასხვაგვარია. არსებობს სამოგადოების ისეთი მოდელი, სადაც მთავრობა განსაზღვრულ ფუნქციებს იხსნის, რომელთა ეფექტურად შესრულებას არასამთავრობო სექტორი და კერძო სტრუქტურები უზრუნველყოფს. სამოგადოების ლიბერალურობის ხარისხი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტი ფუნქციის დელეგირება ხდება არასამთავრობო და კერძო სექტორისთვის, ანუ რაც უფრო ნაკლებად ერევა ხელისუფლება სოციალური

ცხოვრების ისეთ სფეროებში, რომლებიც ავტონომიური რეგულირების შესაძლებლობას შეიცავს ადამიანთა კერძო ინიციატივით შექმნილი ორგანიზაციების მეშვეობით.

გამოკითხვა ითვალისწინებდა რესპონდენტთა ატიგულების შესწავლას იმ თვალსაზრისით, თუ რაზე ახდენენ ისინი ორიენტაციას:– **მთავრობის მიერ სამოგალოების გოგალურ მართვაზე თუ პასუხისმგებლობის განაწილებაზე მთავრობასა და არასამთავრობო სტრუქტურებს შორის.** ამგვარი ატიგულების შესწავლა, გარკვეულწილად, ამა თუ იმ სამოგალოების მემარცხენე/მემარჯვენე ორიენტაციის ერთ-ერთ მაჩვენებლადაც ითვლება.

ორი ალტერნატიული დებულებიდან რესპონდენტებს უნდა ამოერჩიათ ის, რომელსაც უფრო მეტად ეთანხმებოდნენ (*იხ. ცხრილი №19*):

		ცხრილი № 19	
	დებულებები	2003წ (%)	2005წ (%)
1.	მთავრობა მხოლოდ რამდენიმე ბაზისურ პრობლემას უნდა წყვეტდეს, დანარჩენი პრობლემები კი არასამთავრობო ორგანიზაციებმა და კერძო სტრუქტურებმა უნდა გადაჭრან	36.3	30.2
2.	უმჯობესია, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემების უმრავლესობა მთავრობამ გადაწყვიტოს	56.9	58.6
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	6.8	11.2

მონაცემები აჩვენებს, რომ ორი კვლევის შედეგები არსებითად იმეორებს ერთსა და იმავე ტენდენციას: **გამოკითხულთა უმრავლესობა სამოგალოებრივი ცხოვრების მართვაში მთავრობის მეგ-ნაკლებად უალტერნატივო ჩართულობის მომხრეა.** ამ თვალსაზრისის გამოხატველ რესპონდენტებს პირობითად შეიძლება **“სტეიგისგები”** (ინგლისური სიტყვიდან - State) ვუწოდოთ. ბოლო კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სამოგალოებრივი აზრი კიდევ უფრო გადაიხარა სტეიგიზმისკენ, თუმცა სტატისტიკური განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რომ კატეგორიული დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევდეს.

“სტეიგიზმის”, პატერნალისტური ცნობიერების მაღალი ხარისხი რა თქმა უნდა სამოგალოების განვითარების კულტურულ-ისტორიული ფაქტორების სიმრავლითა და ინერციით გამოწვეულია. ამ ფაქტორების შესწავლა მოცემული კვლევის ამოცანებში არ შედიოდა.

2003 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებმა გამოავლინა გარკვეული კავშირი “სტეიგიზმის” მაჩვენებელსა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებას შორის. კერძოდ, ის რესპონდენტები, რომლებიც არასამთავრობო სექტორის საქმიანობას დადებითად აფასებდნენ, სტეიგიზმის ნაკლებ ხარისხს ავლენდნენ. ამასთან დაკავშირებით, გამოითქვა ვარაუდი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულების დადებითისკენ შეცვლა შესაძლოა სტეიგიზმის ხარისხის შემცირებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. საინტერესოა, რომ ამგვარი ვარაუდი ბოლო კვლევის შედეგების საფუძველზე არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორის საქმიანობის ზოგადი შეფასება დადებითისკენ შეიცვალა, სტეიგისტურმა განწყობებმაც მოიმაგა (თუმცა, 2003 წელს ჩატარებული კვლევის დროს დაფიქსირებული კავშირი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულებასა და სტეიგიზმის მაჩვენებელს შორის უფრო მცირე კორელაციით შენარჩუნდა). ამის გამოხატულებად ისიც შეიძლება ჩავთვალოთ, რომ თვით ისეთი სოციალური პრაქტიკის განვითარება, როგორცაა დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, რომლის ერთ-ერთ ძლიერ გენერატორს არასამთავრობო სტრუქტურების აქტიურობა წარმოადგენს, რესპონდენტთა უფრო მეტ რაოდენობას მიაჩნია ხელისუფლების საქმედ. კითხვაზე: **“რას უნდა დაეყრდნოს უფრო მეტად საქართველოში დემოკრატიის განვითარება: ხელისუფლების ძალისხმევას თუ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობას?”** – პასუხები ასე განაწილდა (*იხ. ცხრილი №20*):

ცხრილი №20

	რას უნდა დაეყრდნოს საქართველოში დემოკრატიის განვითარება?	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	უფრო მეტად ხელისუფლების ძალისხმევას	56.7	63.7
2.	უფრო მეტად არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობას	31.3	23.4
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	11.8	12.9

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა დემოკრატიის განვითარების საქმეში არასამთავრობო სექტორს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს, იმავე უმრავლესობა არ უჭირს იმის აღიარება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას საქართველოში. ამასთან დაკავშირებით რესპონდენტთათვის შეთავაზებული ალტერნატიული პოზიციებიდან უპირატესობა სწორედ აღნიშნულ პოზიციას ენიჭება (იხ. ცხრილი №21):

ცხრილი №21

	დებულებები	2003წ.	2005წ.
1.	არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარებას	65.0	65.2
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებაში ქაოსსა და უწყესრიგობას ამკვიდრებს	14.8	11.8
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	20.2	23.0

საინტერესოა, როგორ შეიცვალა მოსახლეობის აზრი არასამთავრობო სექტორის საქმიანობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ: 2003 წელთან შედარებით, 2005 წელს ჩატარებულ კვლევაში რესპონდენტთა უფრო მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მესამე სექტორის მუშაობას მნიშვნელოვნად აფერხებს. ხელისუფლების ნეგატიური როლის შერბილება უთუოდ რევოლუციური მოვლენების გამოძახილია, როდესაც (პოსტრევოლუციური პერიოდის პირველ პერიოდში მაინც), ბევრ საკითხში, ახალი ხელისუფლება და მესამე სექტორი “ერთ ენაზე ალაპარაკდა”. წინა კვლევის მონაცემებისაგან განსხვავებით, მესამე სექტორის განვითარების შეფერხება უფრო ნაკლებად ბრალდება თვით არასამთავრობო ორგანიზაციების არაეფექტურ საქმიანობასა და მათ მიერ დამფინანსებლის ინტერესების გაგარებას. ხელისშემშლელ მიზეზებს შორის წინ წამოიწია ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა მოსახლეობის პასიურობა და არასაკმარისი ფულადი სახსრები. ამდენად, როგორც ქვემოთ მოგანილი ცხრილი აჩვენებს, მოსახლეობის წარმოდგენები მესამე სექტორის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ აშკარად შეცვლილია (იხ. ცხრილი №22):

ცხრილი №22

	ყველაზე მეტად რა უშლის ხელს საქართველოში არასამთავრობო სექტორის განვითარებას?	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	სახელისუფლებო სტრუქტურები	36.9	20.5
2.	თავად არასამთავრობო ორგანიზაციების არაეფექტური საქმიანობა	22.4	13.4
3.	არასამთავრობო ორგანიზაციები არ არის თავისუფალი, ისინი, ძირითადად, დამფინანსებლის ინტერესებს ემსახურება	21.3	15.2
4.	მოსახლეობის პასიურობა	21.2	27.4
5.	არასაკმარისი ფულადი სახსრები	18.8	27.2
6.	გადასახადების მაღალი განაკვეთები	5.9	6.9
7.	სერიოზული ხელისშემშლელი მიზეზი არ არსებობს	5.5	9.3

შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე გაცემული პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს, ვინაიდან რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხის ვარიანტი.

არასამთავრობო სექტორის დაფინანსების წყაროები

არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების შესაძლებელი წყაროების შესახებ მოსახლეობის აზრი, 2003 წელთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა. შესამჩნევია მხოლოდ ის გარემოება, რომ რესპონდენტთა უფრო მცირე ნაწილი აკისრებს ფინანსურ პასუხისმგებლობას საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს საქართველოში არასამთავრობო სექტორის განვითარებაზე. შესაბამისად, რესპონდენტთა უფრო ნაკლები რაოდენობა იზიარებს იმ პესიმისტურ პროგნოზს, რომ საკმარისია მომავალი ათი წლის განმავლობაში საქართველოს შეუმცირდეს დახმარება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან და მესამე სექტორის განვითარება შეფერხდება. თუმცა, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი ისევ ფიქრობს, რომ მესამე სექტორი, ძირითადად, უცხოურ დონორებზეა ფინანსურად “მიბმული” და მათ გარეშე არსებობა გაუჭირდება. მოსახლეობის ისევ საკმაოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ მესამე სექტორის დაფინანსების წყარო მოქალაქეთა შემოწირულობები უნდა იყოს. ადგილობრივი ფინანსური წყაროებიდან კვლავ ბიზნესის წარმომადგენლებს ეკისრებათ მთავარი როლი (*იხ. ცხრილები №23, 24*):

ცხრილი №23

ძირითადად, ვინ უნდა აფინანსებდეს არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში?		2003 (%)	2005 (%)
1.	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები	53.3	46.4
2.	კერძო სექტორის წარმომადგენლები	44.2	42.2
3.	სახელმწიფო ბიუჯეტი	18.9	15.8
4.	მოქალაქეების შემოწირულობები	13.1	12.1

შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე გაცემული პასუხების ჯამი 100%-ს აღარბეჭდს, ვინაიდან რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხის ვარიანტი.

ცხრილი №24

	დებულებები	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	საკმარისია მომავალი 10 წლის განმავლობაში საქართველოს შეუმცირდეს დახმარება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან, ეს შეაფერხებს არასამთავრობო სექტორის განვითარებას საქართველოში	55.7	45.3
2.	არასამთავრობო ორგანიზაციების მომავალი უახლოესი 10 წლის განმავლობაში არ არის დამოკიდებული მხოლოდ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებზე, რადგან გაიმრდება მათი დაფინანსება ქართველი ბიზნესმენების და მოქალაქეების შემოწირულობების ხარჯზე.	24.8	28.9
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	19.5	25.8

კორუმპირებულია თუ არა არასამთავრობო სექტორი?

საინტერესოა, რომ მოსახლეობის თვალსაზრისში საქართველოში მოქმედი სახელისუფლებო სტრუქტურების კორუმპირებულობის შესახებ მნიშვნელოვნად შეიცვალა. 2003 წელს სახელისუფლებო სტრუქტურების კორუმპირებულობაზე მიუთითებდა გამოკითხულთა 80-90%. ამჟამად, ამგვარ რესპონდენტთა წილი მნიშვნელოვნადაა შემცირებული. თუმცა, თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტი მაინც, ამ თვალსაზრისით უნდობლობას გამოხატავს სახელისუფლებო სტრუქტურების მიმართ. ოდნავ უკეთეს პოზიციაში იმყოფება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. საინტერესო გუნდენია ვლინდება ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ: მართალია, შემცირდა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც ამ ორგანიზაციების კორუმპირებულობაზე მიუთითებენ,

მაგრამ არ გაზრდილა იმათი რაოდენობა, ვინც ამ ორგანიზაციებს არაკორუმპირებულთა რიგებში ათავსებს. არასამთავრობო ორგანიზაციების კორუმპირებულობის შეფასებისას კიდევ უფრო გაიზარდა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც გარკვეულ პოზიციას ვერ აუფიქსირებენ. “დაბნეულობის კოეფიციენტი” არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებისას ამ თვალსაზრისით ყველაზე მაღალია. ასეთი ტენდენცია არცერთ სხვა ინსტიტუტთან მიმართებაში არ ვლინდება (იხ. ცხრილი №25):

ცხრილი №25

	ორგანიზაციები	კორუმპირებული (%)		არაკორუმპირებული (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
		2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.
1.	პარლამენტი	88.6	46.5	7.4	39.6	4.0	13.9
2.	მთავრობა	91.7	46.8	5.4	41.3	3.0	11.9
3.	გამგეობა/მერია	78.0	45.3	16.6	38.5	5.5	16.2
4.	საკრებულო	58.6	36.2	29.2	43.9	12.3	19.5
5.	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები	26.5	15.7	42.8	42.0	30.8	42.3
6.	საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები	22.6	13.2	47.6	43.8	29.8	43.0
7.	მასმედია	24.7	14.6	67.0	70	8.3	15.4

აღნიშნული ტენდენცია მეორდება, აგრეთვე, იმ კითხვებთან მიმართებაში, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენებასა და ფულის გათეთრების შესაძლებლობას ეხება. მართალია, მცირდება იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც ამგვარ “ცოდვებში” ადანაშაულებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგრამ პარალელურად იზრდება იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც თავს იკავებენ შეფასებისგან (იხ. ცხრილები №№26, 27):

ცხრილი №26

	ღებულებები	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული ფულადი სახსრები, ძირითადად, ხმარდება საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეებს	30.8	32.1
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები მოპოვებულ სახსრებს არადანიშნულებისამებრ, პირადი სარგებლობისთვის იყენებენ	37.1	22.1
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	32.1	45.8

ცხრილი №27

	ღებულებები	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციები ეფექტურად ამხელს ქვეყანაში კორუფციას	46.8	51.9
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები არაკანონიერი გზით ნაშოფნი ფულის “გათეთრების” საშუალებაა და არის კორუფციის ხელშემწყობი	21.4	12.3
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	31.8	35.8

* * *

არაკორუმპირებულობის თვალსაზრისით ყველაზე დადებით შეფასებას ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს აჭარის, გურია-სამეგრელოსა და შიდა ქართლი-მცხეთა მთიანეთის მოსახლეობა აძლევს. თბილისში შედარებით მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებს კორუმპირებულად თვლიან. ამ

საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მეტი დაბნეულობა იმერეთის რეგიონში (იხ. ცხრილი №28):

ცხრილი №28

<i>კორუმპირებულია თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები?</i>							
		კორუმპირებულია (%)		არაკორუმპირებულია (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
		2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.
1.	თბილისი	31.1	24.0	52.0	42.7	16.9	33.3
2.	კახეთი	16.5	14.2	37.0	44.1	46.5	41.7
3.	შიდა ქართლი/მცხეთა მთიანეთი	48.7	14.2	37.1	46	14.2	39.8
4.	ქვემო ქართლი/სამცხე-ჯავახეთი	22.5	14.3	29.3	38.1	48.2	47.6
5.	გურია/სამეგრელო	17.3	18.5	62.5	47.0	20.2	34.5
6.	იმერეთი	28.0	6.5	38.0	29.9	34.0	63.7
7.	აჭარა	20.2	11.1	30.3	56.6	49.5	32.3

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები

რამდენად შეიცვალა რესპონდენტთა დამოკიდებულება არასამთავრობო სექტორის საქმიანობის ისეთი პარამეტრების მიმართ, როგორცაა: ა) ქმედითუნარიანობა; ბ) პროგრესულობა? 2005 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ ამ თვალსაზრისითაც კორუმპირებულობის საკითხთან დამოკიდებულების ცვლილება გაიმეორა. კერძოდ, შემცირდა იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც მესამე სექტორს არაქმედითუნარიან და მხოლოდ უცხო ფასეულობების პროპაგანდისტ ინსტიტუტებად მოიაზრებენ. ამავე დროს იზრდება იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც გარკვეული პოზიციის დაფიქსირებას ვერ ახერხებენ (იხ. ცხრილები №№29, 30).

ცხრილი №29

	დებულებები	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ადამიანებს უადვილდებათ საკუთარი ინტერესების დაცვა და მიზნების რეალიზაცია	44.8	48
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანებს მხოლოდ ცარიელ დაპირებებს აძევენ, რეალურად მათ დახმარება არ შეუძლიათ	37.4	24.1
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	17.8	28.0

ცხრილი №30

	დებულებები	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს სამოგალოებაში ცივილური სამყაროსთვის დამახასიათებელი პროგრესული იდეების დამკვიდრებას	42.3	42.6
2.	არასამთავრობო ორგანიზაციები არ ზრუნავს ეროვნულ ღირებულებებზე და პროპაგანდას უწევს უცხო ფასეულობებს	32.3	26.1
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	25.3	31.3

მესამე სექტორის მიმართ განსაზღვრული ატიტუდების მქონე კლასტერები/ჯგუფები

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შეფასებასთან დაკავშირებული წყვილადი, ალტერნატიული დებულებების ხვედრითი წილის (მოსახლეობის შერჩევაში) ანალიზის საფუძველზე გამოიყო ოთხი ჯგუფი (კლასტერი):

I ჯგუფი: – რესპონდენტები, რომლებიც არასამთავრობო სექტორის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს, ძირითადად, დადებითად აფასებენ. კერძოდ თვლიან, რომ:

- არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ადამიანებს უადვილდებათ საკუთარი ინტერესების დაცვა და მიზნების რეალიზაცია;
- არასამთავრობო ორგანიზაციები მოქალაქეებს იცავს სახელმწიფოს ძალადობისგან;
- არასამთავრობო ორგანიზაციები ეფექტურად ამხელს კორუფციას;
- არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობს სამოგალოებაში ცივილური სამყაროსთვის დამახასიათებელი პროგრესული იდეების დამკვიდრებას;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული სახსრები, ძირითადად, ხმარდება სამოგალოებისთვის სასარგებლო საქმეებს.

II ჯგუფი:– რესპონდენტები, რომლებიც არასამთავრობო სექტორის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს, ძირითადად, უარყოფითად აფასებენ. კერძოდ, თვლიან, რომ:

- არასამთავრობო ორგანიზაციები სამოგალოებაში ქაოსსა და უწყესრიგობას ამკვიდრებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანებს ცარიელ დაპირებებს აძლევს;
- არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უშლის სახელმწიფოს იმრუნოს მოქალაქეების საკეთილდღეოდ;
- არასამთავრობო ორგანიზაციები არაკანონიერი გზით ნაშოვნია ფულის “გათეთრების” საშუალებაა;
- არასამთავრობო ორგანიზაციები არ ბრუნავს ეროვნულ ღირებულებებზე და პროპაგანდას უწევს უცხო ფასეულობებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციები მოპოვებულ სახსრებს არადანიშნულებისამებრ იყენებს.

III ჯგუფი: – რესპონდენტები, რომლებსაც არასამთავრობო სექტორის საქმიანობის ასპექტების შესახებ ჩამოყალიბებული აზრი არ გააჩნიათ.

IV ჯგუფი: – რესპონდენტები, რომლებსაც შეიძლება პირობითად “ოპორტუნისტები” ვუწოდოთ. ამ ტიპის რესპონდენტები არ აგარებენ “ერთ თანმიმდევრულ ხაზს” – არასამთავრობო სექტორის საქმიანობის ასპექტებიდან დაახლოებით ნახევარს აფასებენ დადებითად და ნახევარს - უარყოფითად.

როგორ შეიცვალა ამ ჯგუფებს შორის რესპონდენტთა სიხშირული განაწილება 2003 წელს ჩატარებულ კვლევასთან შედარებით?

კლასტერებს შორის რესპონდენტთა განაწილების სურათი რადიკალურად არ შეცვლილა, თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე გენდენცია:

- რესპონდენტთა ხვედრითი წილი შემცირდა ე.წ. ოპორტუნისტთა და მესამე სექტორის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების მიმართ ძირითადად ნეგატივისტურად განწყობილთა ჯგუფში.
- 2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რამდენაღმე მოიმაგა რესპონდენტთა რაოდენობამ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების მიმართ დადებითად და გაურკვეველად განწყობილთა ჯგუფებში (იხ. ცხრილი №31):

ცხრილი №31

კლასტერები		2003 წ. (%)	2005წ. (%)
I ჯგუფი:	დადებითად განწყობილები	42.0	50.0
II	უარყოფითად განწყობილები	19.0	10.2


ჯგუფი:				
III	ჩამოყალიბებული	აზრის	12.0	15.2
ჯგუფი:	არმქონე			
IV	“ოპორტუნისტები”		28.0	24.6
ჯგუფი:				

* * *

მოცემულ ჯგუფების დახასიათება სოციალურ-დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით გარკვეულად იმეორებს 2003 წელს დაფიქსირებულ ტენდენციებს, კერძოდ:

- I ჯგუფის (დადებითად შემფასებლები) წარმომადგენელთა ხვედრითი წილი უფრო მაღალია 45 წლამდე ასაკის რესპონდენტებში
- ნეგატივისტების წილიც მაგულობს რესპონდენტთა ასაკის მაგებასგან ერთად
- იმ რესპონდენტთა წილი, რომლებსაც გარკვეული აზრი არ გააჩნიათ არასამთავრობო სექტორის მოღვაწეობის შესახებ შედარებით უფრო მაღალია 55 წელზე უფროს რესპონდენტთა შორის
- რაც შეეხება “ოპორტუნისტების”: ჯგუფს, მისი ასაკობრივი პროფილი უფრო შერეულია (*იხ. დიაგრამა №3*):


დიაგრამა №3



რაც შეეხება **განათლების** ცენზის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში ჩვენს მიერ აღწერილი ჯგუფების განაწილებას, აქ სურათი შემდეგნაირია:

- დადებითად განწყობილ რესპონდენტთა წილი მეტია უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა შორის
- გარკვეული პოზიციის არმქონეთა ხვედრითი წილი მეტია უმაღლესი განათლების არმქონე რესპონდენტთა შორის
- “ოპორტუნისტების” პროფილი ამ ფაქტორის მიხედვითაც შერეულია (*იხ. დიაგრამა №4*).

დიაგრამა №4



როგორ კავშირშია რესპონდენტის *შემოსავალი* არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების შეფასებასთან? ამ პარამეტრის მიხედვით ანალიზმა მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება ვერ გამოავლინა. თუმცა, შედარებით მაღალშემოსავლიან რესპონდენტთა შორის ოდნავ უფრო მაღალია დადებითად განწყობილთა წილი.

ქალაქების მოსახლეობას შორის დადებითად განწყობილთა ჯგუფის ხვედრითი წილი უფრო მაღალია; *სოფლის* მოსახლეობაში, საერთო სურათთან შედარებით, უფრო მაღალია ე.წ. ოპორტუნისტთა ხვედრითი წილი.

რეგიონებს შორის დადებითად განწყობილთა უფრო მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან აჭარის, შიდა ქართლი/მცხეთა მთიანეთის, გურია-სამეგრელოს რეგიონები. უარყოფითად განწყობილთა ხვედრითი წილი შედარებით მაღალია კახეთის, თბილისის, იმერეთის მოსახლეობას შორის.

თავი 5: მოქალაქეთა ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

არასამთავრობო სექტორსა და სამოგადოებას შორის ურთიერთობის ფორმებიდან გამოიყო: ა) არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოქალაქეებისთვის შეთავაზებული მომსახურებით **სარგებლობა**; ბ) არასამთავრობო ორგანიზაციებთან **თანამშრომლობა**. სოციოლოგიური გამოკითხვა ითვალისწინებდა იმის გარკვევას, თუ რამდენად გავრცელებული და ინტენსიურია არასამთავრობო სექტორსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის ორივე პრაქტიკა და მოხდა თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ მიმართულებით ბოლო ორი წლის განმავლობაში.

თუ ორი გამოკითხვის შედეგებს შევადარებთ, შეიძლება ვისაუბროთ არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებით *მოსარგებლეთა* ოდნავ მაგებაზე. კერძოდ, ამ კატეგორიის რესპონდენტთა წილი 2003 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით 12.7% იყო, 2005 წელს კი – 17.4%-ია. უმნიშვნელო მაგებაა, აგრეთვე, იმ რესპონდენტთა შორის, ვისაც **უთანამშრომლია** (ან თანამშრომლობს) არასამთავრობო სექტორთან: 2003წ. – 5.8%; 2005წ. – – 7.9%.

გამოკითხვის შედეგებით, არასამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებული მომსახურებით *“მოსარგებლეთა”* კატეგორიას შედარებით უფრო ხშირად გამოუყენებია საქველმოქმედო საქმიანობა//ჰუმანიტარული დახმარება (5.5%); სისხირის მიხედვით ამას მოჰყვება საგანმანათლებლო კურსებზე, სემინარებსა და გრეინინგებზე დასწრება (4.8%), იურიდიული კონსულტაციით სარგებლობა (4.4%), დახმარების მიღება ამა თუ იმ საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებაში (1.7%), კონსულტაციები კრედიტების მისაღებად (0.9%). სხვა გიპის მომსახურების ხვედრითი წილი 0.5%-ს არ აღემატება.

იმ რესპონდენტთა შორის, ვისაც უსარგებლია არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებით, დიდი უმრავლესობა მათ მიერ გაწეულ მომსახურებას დადებითად აფასებს (84.5%). ასეთივე შედეგი დაფიქსირდა 2003 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით.

როგორი გიპის *თანამშრომლობა* ჰქონდათ არასამთავრობო ორგანიზაციებთან იმ რესპონდენტებს, რომლებმაც დააფიქსირეს თანამშრომლობის ფაქტი?

ყველაზე დიდი წილი მოდის სემინარებსა და გრეინინგებში მონაწილეობაზე (29.8%), საკმაოდ დიდია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ღონისძიებებში მონაწილეობა (36.2%) და არასამთავრობო ორგანიზაციის წევრთა წილიც (21.3%). იმ რესპონდენტთა 14.9%, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს (ან თანამშრომლობდა), მიუთითებს, რომ აწოდებს (აწოდებდა) არასამთავრობო ორგანიზაციებს გარკვეულ ინფორმაციას; 9.6%-ს განუხორციელებია პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში; 2.1 %-მა მიიღო ჰუმანიტარული დახმარება არასამთავრობო ორგანიზაციისგან (დანარჩენი პასუხების სისხირე 2%-ს არ აღემატება).

გამოკითხვამ გამოავლინა ის **სფეროები**, რომლებშიც მოქალაქეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა შედგა. თუ შევადარებთ 2003 და 2005 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებს, მივიღებთ შემდეგ სურათს (*იხ. ცხრილი №32*).

ცხრილი № 32

	სფეროები	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება	27.1	17.0
2.	არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა	17.1	38.3
3.	დემოკრატიული სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება	17.1	23.4
4.	ბავშვთა უფლებების დაცვა	15.7	12.8

5.	საგანმანათლებლო საქმიანობა	14.3	4.2
6.	ქალთა უფლებების დაცვა	12.9	8.5
7.	ეკოლოგიური პრობლემები	8.6	5.3
8.	სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობა	8.6	4.3
9.	ხელისუფლების ქმედებების კონტროლი	5.7	3.2
10.	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	5.7	5.3
11.	რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა	2.9	5.3
12.	ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა	2.9	5.3
13.	ჯანდაცვის პრობლემების მოგვარება	2.9	1.1

შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე გაცემული პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს, ვინაიდან რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხის ვარიანტი.

(როგორც აღინიშნა, იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებმაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე მიუთითეს, საკმაოდ მცირე იყო სტატისტიკური ანალიზისთვის (7.9%). შესაბამისად, გემოაღნიშნულ შეკითხვასთან მიმართებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია სტატისტიკური სანდოობის მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ 2003-2004 წლების საარჩევნო პროცესები მოცემულ მონაცემებზეც აისახა. კერძოდ, წინა გამოკვლევასთან შედარებით, მნიშვნელოვნად მოიმატა მესამე სექტორთან თანამშრომლობის მაჩვენებელმა ისეთ სფეროში, როგორცაა *არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა*. ეს უთუოდ არის 2003-04 წლების საარჩევნო ბაგალიების გამოძახილი, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები (განსაკუთრებით, “სამართლიანი არჩევნები”) აქტიურად ჩაერთნენ არჩევნების მონიტორინგში მოქალაქეთა მონაწილეობით).

ისევე, როგორც 2003 წელს ჩატარებულ კვლევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის *ძირითად მოცივებს* შორის ფიგურირებს სამოგალოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე მუშაობის შესაძლებლობა (38.3%) და კონკრეტული თემით, საკითხით რესპონდენტთა დაინტერესება (29.8%). რესპონდენტთა მხოლოდ 10.6% მიუთითებს არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის პროცესში ფინანსურ დაინტერესებაზე. გამოკითხულთა ამდენივე წილი მიუთითებს იმაზე, რომ მესამე სექტორთან საკუთარი ნაცნობ-მეგობრების დახმარების გამო თანამშრომლობს.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი

რესპონდენტთა 92.1%-ს არასოდეს უთანამშრომლია არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამ თვალსაზრისით ვითარება მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა 2003 წელთან შედარებით (შესაბამისად, 94.2%).

საინტერესოა, აქვთ თუ არა ამ რესპონდენტებს სურვილი *მომავალში ითანამშრომლონ* არასამთავრობო სექტორთან? ამ საკითხთან დაკავშირებით, რესპონდენტთა პოზიციები დაახლოებით იმეორებს 2003 წელს დაფიქსირებულ სურათს: რესპონდენტთა 29.9% (2003წ. - 33.4%) გამოთქვამს მესამე სექტორთან თანამშრომლობის სურვილს. გამოკითხულთა უფრო დიდ ნაწილს (43.3%; 2003წ - 47.3%) არც უთანამშრომლია და არც მომავალში გამოთქვამს თანამშრომლობის სურვილს. დაახლოებით ყოველი მეოთხე რესპონდენტი ვერ გამოთქვამს გარკვეულ პოზიციას ამ საკითხთან მიმართებაში (2003წ. – 19.7; 2005 წ. 26.7%).

* * *

რესპონდენტთა *სოციალურ-დემოგრაფიული* მახასიათებლებიდან არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი კავშირშია რესპონდენტის ასაკთან და განათლების ცენტრთან. კერძოდ:

- რაც უფრო ახალგაზრდაა რესპონდენტი, მით უფრო მეტად გამოთქვამს მესამე სექტორთან თანამშრომლობის სურვილს. ასეთ რესპონდენტთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია 18-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში (41.5%).

- არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის მსურველთა ხვედრითი წილი უფრო მაღალია უმაღლესი განათლების მქონე (37.5%), ვიდრე უმაღლესი განათლების არმქონე რესპონდენტებში (24.9%).

რეგიონებთან მიმართებაში ყველაზე მკვეთრი ცვლილება კვლავ აჭარის რეგიონშია დაფიქსირებული. ამ რეგიონის მოსახლეობაში მკვეთრად მოიმაგა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი (იხ. ცხრილი №33):

ცხრილი №33

გაქვთ თუ არა სურვილი ითანამშრომლოთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან?							
რეგიონები	დიახ (%)		არა (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)		
	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.	
1. თბილისი	37.5	29.3	49.5	56.8	13.1	13.9	
2. კახეთი	30.3	29.8	48.7	38.8	21.0	31.4	
3. შიდა ქართლი/მცხეთა მთიანეთი	26.6	36.4	65.1	47.7	8.3	15.9	
4. ქვემოქართლი/სამცხე-ჯავახეთი	32.0	24.7	30.3	40.6	37.7	34.7	
5. გურია/სამეგრელო	36.9	24.4	49.0	23.2	14.0	52.4	
6. იმერეთი	41.0	34.4	47.7	47.3	11.3	18.3	
7. აჭარა	14.9	35.4	41.5	36.6	43.6	28.0	

რომელ სფეროებს ანიჭებენ უპირატესობას ის რესპონდენტები, რომლებიც გამოთქვამენ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის სურვილს? ამ სფეროების არჩევანი თითქმის ისეთივეა, როგორც 2003 წელს ჩატარებულ კვლევაში იყო. ამ თვალსაზრისითაც, მოსახლეობის განწყობებში მნიშვნელოვანი ძვრები არ მომხდარა (იხ. ცხრილი №34):

ცხრილი №34

სფეროები, რომლებშიც რესპონდენტები გამოთქვამენ მესამე სექტორთან თანამშრომლობის სურვილს	2003წ. (%)	2005წ. (%)
1. ბავშვთა უფლებების დაცვა	28.8	26.4
2. საქველმოქმედო საქმიანობა/ჰუმანიტარული დახმარება	19.3	20.1
3. ქალთა უფლებების დაცვა	18.5	18.8
5. სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობა	18.3	21.3
6. ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა	15.5	14.9
7. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	14.5	15.8
8. ხელშეწყობა საზღვარგარეთ განათლების მიღებაში	13.8	14
9. ხელისუფლების ქმედებების კონტროლი	9.3	10.9
10. არჩევნების დროს ამომრჩეველთა უფლებების დაცვა	8.5	6.1
11. დემოკრატიული/სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება	7.5	4.0
12. საგანმანათლებლო საქმიანობა	3.3	0.9
13. რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვა	2.8	5.2
14. ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა	1.8	3.3

შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე გაცემული პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს, ვინაიდან რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხის ვარიანტი.

საინტერესოა, რომ ისევე, როგორც 2003 წელს ჩატარებულ კვლევაში, რესპონდენტების მიერ იმ სფეროების დასახელება, რომლებშიც ისინი ისურვებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, არ ემთხვევა იმ სფეროს, რომელსაც მოსახლეობა მესამე სექტორისთვის პრიორიტეტულად თვლის. მიუხედავად იმისა, რომ უპირველესი საზოგადოებრივი “დაკვეთა” არასამთავრობო სექტორისთვის კორუფციასთან ბრძოლაა, ამ

სფეროში მესამე სექტორთან თანამშრომლობის მსურველი შედარებით ნაკლებია სხვა სფეროებთან შედარებით.

რეგიონების მიხედვით ის სფეროები, რომლებშიც მოსახლეობა არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობას ისურვებდა, ასე განაწილდა (*იხ. ცხრილი №35*):

ცხრილი №35

სფეროები, რომლებშიც რესპონდენტები გამოთქვამენ მესამე სექტორთან თანამშრომლობის სურვილს	თბილისი (%)	კახეთი (%)	შიდა ქართლი/მცხეთა-მთიანეთი (%)	ვერცხეთა/სამცხე-ჯავახეთი (%)	გურია//ლალო	იმერეთი (%)	აჭარა (%)
1. ბავშვთა უფლებების დაცვა	18.5		15.1		15.0	16.7	25.9
2. ქალთა უფლებების დაცვა	13.4	13.4	12.3				16.7
3. საქველმოქმედო საქმიანობა//ჰუმანიტარული დახმარება	11.8	20.9			15.0	17.6	
4. სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელშეწყობა		17.9		18.8		12.0	14.8
5. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა			12.3			12.0	
6. ხელშეწყობა საზღვარგარეთ განათლების მისაღებად			13.7	14.1			
7. ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა				20.3			
8. ხელისუფლების ქმედებების კონტროლი					23.3		

თანაბარი ანაზღაურების პირობებში მინიჭებდნენ თუ არა უპირატესობას რესპონდენტები არასამთავრობო ორგანიზაციას, როგორც სამუშაო ადგილს?

ამ თვალსაზრისით, რესპონდენტთა განწყობები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ისევე, როგორც 2003 წელს ჩატარებულ კვლევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის დაწყებას რესპონდენტები, თანაბარი ანაზღაურების პირობებშიც კი, ამჯობინებენ კერძო ბიზნესში, საბიუჯეტო ორგანიზაციებში და სახელისუფლებო სტრუქტურებში დასაქმებას (*იხ. ცხრილი №36*):

ცხრილი №36

თუ ანაზღაურება იქნებოდა თანაბარი, სად ისურვებდით მუშაობის დაწყებას?		2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	კერძო ბიზნესში	46.6	36.6
2.	საბიუჯეტო ორგანიზაციაში	21.8	20.2
3.	სახელისუფლებო სტრუქტურებში	15.8	15
4.	არასამთავრობო ორგანიზაციებში	10.4	8.7
5.	პოლიტიკურ პარტიაში	2.6	1.3
6.	ნებისმიერ ორგანიზაციაში	0.2	0.5
7.	მიჭირს პასუხის გაცემა	9.2	15.6

არასამთავრობო ორგანიზაციაში დასაქმების სურვილი ოდნავ უფრო მეტია უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა შორის (11.2%), არა უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებთან შედარებით (6.9%).

რა არის იმ რესპონდენტების **მოტივაცია**, რომლებსაც არ სურთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა? საინტერესოა, რომ 2003 წლის მონაცემებთან შედარებით, შემცირდა იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც მოტივაციად თვით არასამთავრობო ორგანიზაციების შიგნით არსებულ ნაკლოვანებებს ან მათ მიმართ

უარყოფით განწყობას აფიქსირებენ. ორივე კვლევის მონაცემები ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი №37):

ცხრილი №37

	რაგომ არ გსურთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა?	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	არ მექნება სტაბილური ანაზღაურება/ხელფასი	15.5	7.8
2.	არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა არაეფექტურია, მათთან თანამშრომლობით შეუძლებელია პრობლემების რეალურად მოგვარება	23.0	18.5
3.	არასამთავრობო ორგანიზაციები ემსახურება კერძო პირების (პარტიების, ორგანიზაციების) ინტერესებს	16.8	10.5
4.	მაქვს (მინდა მქონდეს) უკეთესი სამუშაო	23.6	18.7
5.	არასამთავრობო ორგანიზაციები კორუმპირებულია	6.0	3.2
6.	ხელს არ მიწყობს ასაკი	8.6	12.4
	სხვა მიზეზი: ხელს არ მიწყობს ჯანმრთელობა, ოჯახური პირობების გამო, არ მაინტერესებს და ა.შ.		14.3
7.	მიჭირს პასუხის გაცემა	18.2	22.9

შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე გაცემული პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს, ვინაიდან რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხის ვარიანტი.

არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი მიმართვა და მზობა მათ მხარდასაჭერად

ცხოვრების სხვადასხვა ექსტრემალურ სიტუაციაში არასამთავრობო ორგანიზაციისთვის მიმართვის მოთხოვნა გარკვეულწილად გამოხატავს მოსახლეობის ამრს არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის შესახებ. როგორია არასამთავრობო სტრუქტურებისა და სხვა ინსტიტუტების “წონა” იმ შემთხვევაში, თუ საქმე ადამიანის უფლებების დაცვას ეხება. 2003 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების “წონა” ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ჩამორჩება სასამართლოს და სახალხო დამცველის გავლენას, თუმცა, აღემატება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის გავლენას. 2005 წელს ჩატარებულმა კვლევამ **გაიმეორა** აღნიშნული გენდენცია. არასამთავრობო სექტორის პოზიციები ამ თვალსაზრისით ოდნავ უფრო გამყარდა და დაუახლოვდა სახალხო დამცველის პოზიციებს (იხ. ცხრილი №38):

ცხრილი №38

	თუ თქვენი უფლებები დაირღვა, ვის მიმართავდით?	2003წ. (%)	2005წ. (%)
1.	სახალხო დამცველს	42.8	40.2
2.	სასამართლოს	48.0	44.3
3.	პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს	20.5	22.3
4.	ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს	32.1	35.7
5.	კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებს	13.3	6.1
6.	არცერთს	10.0	11.2
7.	ნაცნობ-მეგობრებს	1.3	1.4
8.	სახელისუფლებო პარტიას	1.3	1.1

შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე გაცემული პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს, ვინაიდან რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხის ვარიანტი.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ინდიკატორია მოქალაქეთა **მზობა**, არა მხოლოდ მიიღოს ან მოითხოვოს არასამთავრობო ორგანიზაციებისგან გარკვეული დახმარება, არამედ თავად გამოავლინოს სხვადასხვა გიპის აქტივობა არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდასაჭერად. 2003 წლის ჩატარებულმა კვლევამ ამ თვალსაზრისით მოსახლეობის მაღალი მზობა ვერ გამოავლინა. 2005 წელს

ჩატარებული კვლევა, არსებითად, იმეორებს გამოვლენილ ტენდენციებს, თუმცა, არის **გაუმჯობესება ერთი მიმართულებით**: იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც მესამე სექტორის სხვადასხვა სახით მხარდაჭერაზე უპირობო უარს აცხადებენ, რამდენაღმე შემცირდა. მიუხედავად ამისა, როგორც მონაცემები აჩვენებს, ამ კატეგორიამ ჯერ ვერ გადაინაცვლა აქტიურ მხარდამჭერთა რიგებში, ანუ გაიზარდა უფრო ფრთხილი ან გაუკვეველი პოზიციის რესპონდენტთა წილი. რესპონდენტთა მზაობა 2005 წლის კვლევის თანახმად, საბოლოო ჯამში, ასეთია:

- რესპონდენტები ყველაზე ნეგატიურად არიან განწყობილნი არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდასაჭერად საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიმართ. ყოველი მეორე რესპონდენტი აცხადებს, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას ამ ტიპის აქციაში;
- ყველაზე მეტი რესპონდენტი, შესაძლებლობის შემთხვევაში, არასამთავრობო სექტორის მიმართ ფინანსური მხარდაჭერის სურვილს გამოთქვამს;
- დაახლოებით ყოველი მესამე რესპონდენტი თვლის, რომ მიიღებდა მონაწილეობას არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში მობალისედ.

უფრო დეტალურად მონაცემები მოცემულია ქვემოთ (*იხ. ცხრილი №39*):

		ცხრილი №39					
	აქტივობები	ღიბს (%)		არა (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
		2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.	2003წ.	2005წ.
1.	მივიღებდი მონაწილეობას საპროტესტო აქციაში არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებების დასაცავად, რაიმე ძალის მხრიდან მათზე გეწოლის შემთხვევაში	32.2	30.7	54.8	49.2	13.2	20.1
2.	შესაძლებლობა რომ მქონდეს, დავეხმარებოდი არასამთავრობო ორგანიზაციებს ფულადი სახსრებით	53.3	51.5	37.2	30.4	9.6	18.0
3.	მივიღებდი მონაწილეობა მობალისედ (ანაზღაურების გარეშე) არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში	38.3	36.3	48.6	42.5	13.1	21.2

* * *

გამოკითხვამ ისიც აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერისთვის, სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო მეტ მზაობას ამჟღავნებენ უმაღლესი განათლების მქონე, 55 წლამდე რესპონდენტები, უფრო მეტად რეგიონების დიდი ქალაქების მაცხოვრებლები.

დასკვნა

სინთეზური ინდიკატორის მნიშვნელობები მოსახლეობის შერჩევითვის

სინთეზური ინდიკატორი აიგო *ხუთი მაჩვენებლის* საფუძველზე. თითოეულ მაჩვენებელს მიენიჭა წონა ექსპერტული შეფასებების საფუძველზე. განხორციელდა მაჩვენებელთა მათემატიკური ფორმალიზაცია, რის შედეგადაც თითოეული მაჩვენებელი, საბოლოო ჯამში, იღებს მნიშვნელობას -5 -დან +5 -მდე. სინთეზური ინდიკატორი წარმოადგენს ხუთი მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულს (შესაბამისი წონების გათვალისწინებით). სინთეზური ინდიკატორის მნიშვნელობაც მოთავსებულია -5-დან +5 -მდე.

I მაჩვენებელი:– *მოქალაქეთა ინფორმირებულობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ.*

ინფორმირებულობა შეფასდა კითხვარში მოცემული ტესტური შეკითხვების საფუძველზე. კერძოდ:

კითხვები B3-B7 გულისხმობდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის თავისებურებების აღმწერი დებულებების შეთავაზებას რესპონდენტებისთვის. მათ უნდა განესაზღვრათ, რომელი საქმიანობა ან ნიშანია არასამთავრობო ორგანიზაციების მახასიათებელი და რომელი – არა (ამ ნიშან-თვისებებზე ზემოთ უკვე იყო საუბარი).

კითხვები B10 – B16 მოიცავდა კონკრეტული ორგანიზაციების (როგორც არასამთავრობო, ასევე სხვა იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსის) ჩამონათვალს. რესპონდენტს უნდა განესაზღვრა, ჩამონათვალიდან რომელი მიეკუთვნება არასამთავრობო ორგანიზაციებს (ამ საკითხზეც რესპონდენტთა პოზიციები ზემოთ იქნა გაანალიზებული).

ყოველი სწორი პასუხისთვის რესპონდენტი იღებს +5-ს, ხოლო ყოველი არასწორი პასუხისთვის – (-5 -ს).

სწორად და არასწორად გაცემული პასუხების თანაფარდობის საფუძველზე გამოიყო რესპონდენტთა *სამი* კატეგორია:

1. *“ინფორმირებულები”* – ამ კატეგორიას მიეკუთვნა ის რესპონდენტები, რომლებმაც 12 კითხვიდან თორმეტივეს სწორად გასცეს პასუხი;
2. *“ნაწილობრივ (მეგ-ნაკლებად) ინფორმირებულები”* – ამ კატეგორიას მიეკუთვნა ის რესპონდენტები, რომლებმაც 12 კითხვიდან 9 ან 10 კითხვაზე სწორად უპასუხეს.
3. *“ცუდად ინფორმირებულები”* – ამ კატეგორიას მიეკუთვნა ის რესპონდენტები, რომლებმაც 12 კითხვიდან ოთხს არასწორად გასცეს პასუხი.

შენიშვნა: ამგვარი კატეგორიზაციის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული შემთხვევით სწორად გაცემულ პასუხთა ალბათობა.

საბოლოო ჯამში, 2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე,

I მაჩვენებელი = - 3.60.

აღსანიშნავია, რომ ინფორმირებულობის მაჩვენებელი, 2003 წელთან შედარებით, ოდნავ გაუარესებულია. 2003 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად I მაჩვენებელი = - 2.86.

II მაჩვენებელი: მოქალაქეთა დარწმუნებულობა იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დადებით როლს ასრულებს საქართველოში მიმდინარე პროცესებში.

აღნიშნული მაჩვენებელი განისაზღვრა ადეკვატურ შეკითხვებზე გაცემული პასუხების საფუძველზე. დადებითი პასუხი იღებს $+5$ ქულას; უარყოფითი $- (-5)$ -ს; გაურკვეველი პოზიცია $- 0$ -ს.

შეკითხვა A4: როგორ აფასებთ არასამთავრობო სექტორის საქმიანობას საქართველოში? – მოცემულ კითხვაზე პასუხების ქულები შემდეგნაირად გადახაწილდა (იხ. ცხრილი №40):

ცხრილი №40

	არასამთავრობო სექტორის საქმიანობის შეფასება	ქულა
1.	დადებითი	5
2.	უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	2.5
3.	უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	-2.5
4.	უარყოფითი	-5
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	0

შეკითხვა C1: რამდენად ახდენს გავლენას არასამთავრობო სექტორი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე? – მოცემულ კითხვაზე პასუხების ქულები ანალოგიური წესით განაწილდა (იხ. ცხრილი №41):

ცხრილი №41

	არასამთავრობო სექტორის გავლენა მიმდინარე პროცესებზე	ქულა
1.	მნიშვნელოვანი	5
2.	მეგ-ნაკლებად მნიშვნელოვანი	2.5
3.	მცირე	-2.5
4.	გავლენის არმქონე	-5
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	0

შეკითხვები C33 – C38: მოცემული ცვლადები გულისხმობდა არასამთავრობო სექტორის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შემფასებელ დადებით და უარყოფით დებულებებს შორის არჩევანის გაკეთებას რესპონდენტის მიერ (ეს შეკითხვები ბემოთ დეტალურად იქნა განხილული).

დებულებები ეხებოდა:

1. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შეფასებას ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში
2. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შეფასებას მოქალაქეთა სახელმწიფოს ძალადობისგან დაცვის პროცესში
3. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შეფასებას კორუფციასთან ბრძოლის პროცესში
4. არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შეფასებას პროგრესული ღირებულებითი ორიენტაციის ჩამოყალიბების პროცესში
5. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ფულადი სახსრების მიზნობრივად ხარჯვის შეფასებას.

2005 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე: **II მაჩვენებელი = 1.06**

აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია 2003 წელთან შედარებით. 2003 წელს II მაჩვენებელი = $=0.66$.

III მაჩვენებელი: მოქალაქეთა დარწმუნებულობის ხარისხი იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებას სასარგებლო მომსახურებას აწვდის.

აღნიშნული მაჩვენებელი გამოითვალა D2 შეკითხვის (როგორ აფასებთ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეულ მომსახურებას?) საფუძველზე. პასუხებისთვის ქულების მინიჭების წესი არ შეცვლილა (იხ. ცხრილი №42):

ცხრილი №42

	არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების შეფასება	ქულა
1.	დადებითი	5
2.	უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	2.5
3.	უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	-2.5
4.	უარყოფითი	-5
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	0

2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე: **III მაჩვენებელი = 3.10.**

აღნიშნული მაჩვენებელითაც არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება გაუმჯობესებულია: ანალოგიური მაჩვენებელი 2003 წლისთვის == 2.80.

IV მაჩვენებელი: მოქალაქეთა სურვილი ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მაჩვენებელი განისაზღვრა ორი შეკითხვის საფუძველზე:

შეკითხვა D8: *“გაქვთ თუ არა სურვილი ითანამშრომლოთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან?”*

იმ პასუხებს, რომლებიც გამოხატავენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილს, მიენიჭა 5 ქულა; იმათ, ვინც არ გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს – (-5) ქულა.

შეკითხვა D11: *“თუ ანაზღაურება იქნებოდა თანაბარი, სად ისურვებდით მუშაობას?”*

იმ პასუხებს, რომლებიც გამოხატავენ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის სურვილს, მიენიჭა 5 ქულა, ყველა დანარჩენ პასუხს მიენიჭა (-5) ქულა.

2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე: **IV მაჩვენებელი = - 0. 03.**

აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია 2003 წელთან შედარებით = (- 0.04).

V მაჩვენებელი: მოქალაქეთა რეალური მონაწილეობის ხარისხი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში.

მოცემული მაჩვენებელი განისაზღვრა D3 შეკითხვის საფუძველზე: *“გითანამშრომლიათ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციასთან?”*

შესაბამისად, იმ რესპონდენტებს, ვისაც უთანამშრომლია არასამთავრობო ორგანიზაციასთან მიენიჭათ 5 ქულა, ვისაც არ უთანამშრომლია – (-5) ქულა.

2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე: **V მაჩვენებელი = - 4.21**

მოცემული მაჩვენებელიც ოდნავ გაუმჯობესებულია 2003 წლის მონაცემებთან შედარებით=(-4.42).

შეჯამებული და სისტემური სახით ორი კვლევის შედეგები შემდეგნაირად წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი №43):

ცხრილი №43

	I მაჩვენებელი		II მაჩვენებელი		III მაჩვენებელი		IV მაჩვენებელი		V მაჩვენებელი		სინთეზური მაჩვენებელი	
	2003	2005	2003	2005	2003	2005	2003	2005	2003	2005	2003	2005
	-2.86	-3.60	0.66	1.06	2.80	3.10	-0.04	-0.03	-4.42	-4.21	-0.77	-0.74
წონა (%)	40		25		20		10		5			
შეწონილი	-1.15	-1.44	0.16	0.26	0.56	0.62	-0.004	-0.003	-0.22	-0.21	-0.65	-0.77

ამრიგად, როგორც ცხრილიდან ჩანს, 2005 წელს ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ხუთი მაჩვენებელიდან ოთხის გაუმჯობესებული მაჩვენებელი, რაც გამოვლინდა კიდევ შეუწონავი სახით ორი სინთეზური ინდიკატორის შედარებისას (2003წ.: -0.77; 2005წ.: -0.74). ეს მიანიშნებს, რომ შეუწონავი სახით, 2005 წლის მონაცემების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება ოდნავ გაუმჯობესდა. თუმცა, იმის გამო, რომ ექსპერტებმა ინფორმირებულობის მაჩვენებელს ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, შეწონილმა სინთეზურმა ინდიკატორმა, 2003 წელს ჩატარებული კვლევით, უკეთესი მაჩვენებელი მიიღო.